თემა 10

ზომა

Размер

ამოცანები:

- ვასწავლოთ ქართულის, როგორც მეორე ენის შემსწავლელ მოსწავლეებს ზომის გამომხატველი სიტყვები
- მათ შეეძლებათ დაახასიათონ საგანი ზომის მიხედვით
- კითხვაზე „როგორია?“- შეძლებენ ნახატების მიხედვით განსაზღვრონ შესაბამისი ზომა.
- ზომა გამოხატავს ბავშვის კოგნიტური განვითრების კონკრეტულ ეტაპს და წარმოადგენს მათემატიკური წიგნიერების საწყისს. შესაბამისად, მის სწავლას მნიშვნელოვანი როლი აკირსრია მოსწავლის განვითარებისათვის.

გაკვეთილის თემა: მოზარდები შედარების საფუძველზე აკეთებენ დასკვნეს სხვადასხვა საგნის ზომის შესახებ.

ლექსიკა	ძირითადი ფრაზები/წინადადებები
• **ზომები** -დიდი, პატარა, მაღალი, დაბალი, გრძელი, მოკლე, ყველაზე დიდი, ყველაზე პატარა, ყველაზე მაღალი, ყველაზე დაბალი, ყველაზე გრძელი, ყველაზე მოკლე, ყველაზე **არსებითი სახელები** - კიბე, კალამი, ფანქარი, სახაზავი, ნაყინი, რობოტი, ჭია, ისარი, სახლი, გემი, ნიჩაბი, თევზი, გიტარა, კუბი, რაკეტა, სანათი, ფიგურა.	• რომელია დიდი/პატარა? • ეს (არსებითი) დიდია/პატარაა. • რომელია მაღალი/დაბალი? • ეს (არსებითი) მაღალია/დაბალია. • რომელია გრძელი/მოკლე? • ეს (არსებითი) გრძელია/მოკლეა • რომლებია ტოლი? • ესენი (არსებითები) ტოლია. • რომელია ყველაზე დიდი/პატარა/მაღალი/დაბალი/გრძელი/მოკლე? • ეს (არსებითი) ყველაზე დიდი/პატარა/მაღალი/დაბალი/გრძელი/მოკლეა.

1. **თამაში მხიარული ტანვარჯიში**

ჩართეთ მუსიკა, დააყენეთ ბავშვები წრეზე, გაშალეთ ხელები სიგრძეზე და გაიმერეთ - ეს დიდია, დიდია. ახლა ხელები მკლავებზე მოიკიდეთ და გაიმეორეთ - ეს პატარაა, პატარაა. ახლა ასწიეთ ხელები მაღლა და გაიმეორეთ ეს მაღალია, მაღალია. ახლა

ჩამოსწიეთ ხელები დაბლა ხელის მტევნები ასწიეთ, ისე, თითქოს იატაკიდან მანძილს ზომავთ და გაიმეორეთ - ეს დაბალია, დაბალია.
ახლა გასწიეთ წინ ორივე ხელი და გაიმეორეთ - ეს გრძელია, გრძელია. ახლა გულთან ახლოს მიიტანეთ ორივე ხელი მტევნებით ერთად - ეს მოკლეა, მოკლეა.
გაიმეორეთ უფრო სწრაფად და სწრაფად და ბავშვებს თქვენთან ერთად გაამეორებინეთ ფრაზები.

2. „როგორია?“

გამოჭერით მოსწავლეებისათვის მწვანე ფურცლით 2 ფოთოლი; ერთი დიდი და მეორე პატარა. დაურიგეთ პატარებს ჯგუფებში ფოთლები და ფერადი კუბიკები და სთხოვეთ, რომ დააწყონ თითოეულ ფოთოლზე იმდენი კუბიკი, რამდენიც დაეწყობა. ახლა სთხოვეთ მოსწავლეებს დათვალონ, რამდენი კუბიკი დაეტია თითოეულ ფოთოლზე.
„რამხელაა ეს ფოთოლი“? - ჰკითხეთ დიდი ფოთოლზე.

- ფოთოლი დიდია
- რატომაა ფოთოლი დიდი?
- იმიტომ რომ ამ ფოთოლზე 10 კუბიკი დაეტია.

„რამხელაა ეს ფოთოლი?“ - ჰკითხეთ პატარა ფოთოლზე.

- ფოთოლი პატარაა.
- რატომაა ფოთოლი პატარა?
- იმიტომ რომ ამ ფოთოლზე 4 კუბიკი დაეტია.

3. სამუშაო ბარათები - ამუშავეთ ბავშვები ინდივიდუალურად ბარათებზე. ასწიეთ ყველა ჯერზე ბარათი და დასვით კითხვა. ადროვეთ, სანამ თითოეული ბავშვი არ აღნიშნავს ზომას თითოეულ ნახატთან მიმართებით.

რესურსები:

სამუშაო ბარათები (1-8 ბარათი)